„ალეგრობა“- ოზურგეთობა 2015

„გურულები გამორჩეულად ნიჭიერი ქართველები არიან“

ალიონი. 15 სექტემბერს, ვიზიტის ბოლოს, პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი „ალეგრობის" დღესასწაულს დაესწრო. პრემიერი სცენაზე ქალაქის მერმა, ბეგი სიორიძემ მიიწვია.

–„გურულები გამორჩეულად ნიჭიერი ქართველები არიან და ამ დღესასწაულის სახელითაც ჩანს, რაოდენ პროგრესულად მოაზროვნეა გურული კაცი.. მინდა, ყველას გისურვოთ ჯანმრთელობა, გაძლიერება, მშვიდობა, რაც არის სტაბილურობისა და განვითარების საწინდარი. გურია ჩემთვის და ყველასთვის არის უნიკალური მხარე, თავისი გამორჩეული ადამიანებით. ქედს ვიხრი თქვენს წინაშე, პატივისცემით მოგესალმებით ყველას, ძალიან მიყვარხართ!

„ალეგრობა" ჯერ კიდევ 170 წლის წინ დაარსდა და ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ, სწორედ „ოზურგეთობიდან" დააარსა „თბილისობა“– აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

სიტყვით გამოსვლის შემდეგ, მთავრობის მეთაურმა, ქალაქის მერ ბეგლარ სიორიძესთან ერთად, საპატიო ოზურგეთელები დააჯილდო-

გვ-3

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. №37 (10127), 21 სექტემბერი, 2015 წ. ფასი 50 თეთრი.

ოზურგეთში ჩაის ახალი საწარმო ირაკლი ღარიბაშვილმა გახსნა

„ალიონი“. 15 სექტემბერს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა „აწარმოე საქართველოს“ ფარგლებში ქ. ოზურგეთში ჩაის შესაფუთი ახალი საწარმო გახსნა.

როგორც „გეოპლანტის“ გენერალურმა დირექტორმა მიხეილ ჭკუასელმა გვითხრა, პროექტის ფარგლებში ახალ საწარმოს ამოქმედებაზე 2 მილიონი ლარი დაიხარჯა. საწარმოს ასაგებად და იაპონური, ფრანგული, ინგლისური, დანიური დანადგარების შესაძენად 1,6 მილიონი ლარი დაიხარჯა. იგი წლიურად 105 ტონა ჩაი „გურიელის“ სხვადასხვა სახის ნაწარმს გამოუშვებს.

ირაკლი ღარიბაშვილმა ახალი საწარმო დაათვალიერა და ტექნოლოგიურ ციკლს გაეცნო.

„–ჩაის წარმოების აღდგენა არის ჩვენი მთავრობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება. ჩემი დავალებით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო მუშაობს ჩაის წარმოების განვითარების პროგრამაზე, რომელიც უახლოეს მომავალში დამტკიცდება მთავრობის სხდომაზე. ეს გახდება საჯარო დოკუმენტი ყველასთვის. ჩვენ ვაპირებთ მაქსიმალურად ავაღორძინოთ ქართული ჩაის წარმოება, ხელი შევუწყოთ ამ დარგის წახალისებას საქართველოში. ეს გამოიწვევს პლანტაციების აღდგენას. დღეს ხელისუფლებისმთავარი ამოცანაა ეტაპობრივად მოხდეს იმპორტირებული დაბალი ხარისხის ჩაის ჩანაცვლება ადგილობრივი წარმოებით.“ – განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

ირაკლი ღარიბაშვილი საწარმოს დათვალიერებისას სპეციალიტებს ესაუბრა. ჟურნალისტებთან კი განაცხადა:

– ჩვენ გვაქვს უნიკალური ჩაი, რომელიც უნდა გახდეს ქვეყნის სავიზიტო ბარათი. როგორც ქართული ღვინოა ყველაზე გამორჩეული პროდუქტი, ასევე უნდა იყოს ქართული ჩაი. ამის პოტენციალი გვაქვს. გეტყვით მაგალითს – რამდენიმე თვის წინ ჩამოსული იყო თურქმენეთის პრეზიდენტი, რომელმაც პირდაპირ მითხრა, რომ თურქმენეთში ქართული ჩაის ნოსტალგია აქვთ. ცოტა ხნის წინ ჩინეთში გახლდით – რამდენიმე შეხვედრაზე პირდაპირ მკითხეს, ქართული ჩაის ექსპორტს როდის დაიწყებს საქართველოო. იქ ერთ-ერთ გამოსვლაშიც აღვნიშნე – ერთ-ერთი ჩინელი ლაო ჯინჯოუ მეცხრამეტე საუკუნეში საქართველოში იყო ჩამოსული, წაიღო ქართული ჩაი და შექმნა ჩინური ბრენდი "ლაო ჩაი". სინამდვილეში ეს არის ქართული ჩაი. სწორედ ამაზე ვმუშაობთ, რომ დავიწყოთ ჩვენი რესურსების ათვისება, გამოყენება და ამას გავუფრთხილდეთ განსაკუთრებულად.

შემდეგ კი პრემიერმა ჩაი „გურიელის“ სხვადასხვა სახეობის ნაწარმის დეგუსტაცია მოახდინა.

წარმატებული მოსწავლეების სტიმულირება მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტი

ნატა ბაჯელიძე და სალომე მიქატაძე – 3000-3000 ლარით დაჯილდოვდნენ, სოლო სოფელ ოზურგეთისა და სოფელ ბახვის საჯარო სკოლებს 1000-1000 ლარი გადაეცათ

ალიონი. სოფელ ოზურგეთელი ნატა ბაჯელიძე და ბახველი სალომე მიქატაძე დღეს ის პირველი სტუდენტებია, რომლებმაც 18 სექტემბერს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომაზე მშობლიური მუნიციპალიტეტისაგან საჩუქრად, 3000-3000 ლარი მიიღეს.

საქმე ისაა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა უპრეცედენტო პროექტის განხორციელება დაიწყო. ამიერიდან იმ აბიტურიენტებს, რომლებიც ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით 100%-იან სახელმწიფო დაფინანსებას მიიღებენ, მუნიციპალიტეტი 30-00-3000 ლარით დააჯილდოვებს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერილი – წარმატებული აბიტურიენტის წახალისებისა და სტიმულირების პროექტის ინიციატორი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოა.

მხარის გუბენატორმა გია სალუქვაძემ წარმატებულ ახალგაზრდებს, ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობისა და ეკონომიკური ფაკულტეტის პირველკურსელებს ნატა ბაჯელიძესა და სალ-

გვ-2

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 15 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 15 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

ახალი წლიდან ალიონის ფორმატი გაორმაგდა და 8 გვერდი გახდა. გამოდის ორშაბათობით

საცალო ფასი: 50 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2 ლარი,
სამი თვით – 6 ლარი,
6 თვით –12 ლარი,
ერთი წლით – 24 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

წარმატებული მოსწავლეების სტიმულირება მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტი

ნატა ბაჯელიძე და სალომე მიქატაძე _ 3000-3000 ლარით დაჯილდოვდნენ, ხოლო სოფელ ოზურგეთისა და სოფელ ბახვის საჯარო სკოლებს 1000-1000 ლარი გადაეცათ

ომე მიქატაძეს პატრიარქის ეპისტოლეების ნაბეჭდი და ელექტრონული ვერსიები უსახსოვრა.

„მართლაც, უპრეცედენტო პროექტია, რომელსაც დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია, უკვე მოიტანა კიდეც. მოხარული ვარ, რომ ასეთი წარმატებული ახალგაზრდობა გვყავს. ვულოცავ ბავშვებს და გილოცავთ თქვენ“, – თქვა შეხვედრაზე მხარის პირველმა პირმა.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერილი – წარმატებული აბიტურიენტის წახალისებისა და სტიმულირების პროექტის ინიციატორი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოა.

ფულადი საჩუქრების დამადასტურებელი დოკუმენტი და სიგელები გოგონებს საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ და და მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ გადასცეს. შესაბამისად 1000-1000 ლარი გადაეცათ ბაჯელიძისა და მიქატაძის აღმზრდელ, სოფელ ოზურგეთისა და სოფელ ბახვის საჯარო სკოლებს.

„ჩვენ, ყველამ ერთად, მხარი დავუჭირეთ ისეთ უპრეცედენტო პროექტს, რომელიც მისაბაძი გახდა სხვა მუნიციპალიტეტებისთვისაც. მადლობა ამისთვის საკრებულოს ყველა წევრს, აღმასრულებელ ხელისუფლებას და განსაკუთრებით იდეის ავტორს, ბატონ დიმიტრი კვერღელიძეს. მეტი მოტივაცია უკეთ სწავლისათვის ეს არის პროექტის იდეა და ჩვენი სურვილიც“, – განაცხადა საკრებულოს თავმჯდომარემ დავით დარჩიამ.

„ზოგადი განათლების წახალისება და წარმატებული მოსწავლეების სტიმულირება მუნიციპალიტეტის მთავარი პრიორიტეტია. მე ვარ ამაყი და ბედნიერი, რომ გვყავს გამორჩეული მოსწავლეები და არაჩვეულებრივი პედაგოგები, რომლებმაც დღეს ასეთი სიამაყის მიზეზი მოგვცეს სტიმული და მოტივაცია მეტი წარმატებული მოსწავლის აღზრდისათვის“, – აღნიშნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა მერაბ ჭანუყვაძემ.

„ამაყი ვარ, როდესაც ამ ახალგაზრდებს ვუყურებ. მართლაც, რომ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილებაა ყველა რესურსი ჩაიდოს განათლებაში, რადგან მომავალში ეს ინტელექტის სახით ჩვენს მუნიციპალიტეტს, ქვეყანას დაუბრუნდება. იდეის განხორციელების მხარდაჭერაში კი მადლობა თანაგუნდელებს, კოლეგებს და გამგებელს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, გამგეობასთან ერთად, სამომავლოდაც განაგრძობს განათლების ხელშეწყობას“, – დასძინა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ და იდეის ავტორმა დიმიტრი კვერღელიძემ.

პროექტი გრძელდება – 100%-იანი სასწავლო გრანტის მფლობელი აბიტურიენტები და მათი აღმზრდელი სკოლები, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის პროგრამიდან, ფულადი ჯილდოთი სამომავლოდაც წახალისდებიან.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებები

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 16 სექტემბრის საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე დეპუტატებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცებას.

შემოღებულ იქნა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შემდეგი საპატიო წოდებები:

1) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქე;

2) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დამსახურებული მოღვაწე;

3) ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო მცხოვრები.

დაამტკიცეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების მინიჭების წესი.

ამავე სხდომაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო დადგენილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“.

პრემიერ-მინისტრმა სოფელი შემოქმედი მოინახულა

ალიონი. გურიის რეგიონში მყოფმა პრემიერ-მინისტრმა, გუბერნატორსა და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სოფელ შემოქმედში გადაინაცვლა, სადაც რეაბილიტირებული პარკი, რომელშიც ფერადი და მუსიკალური შადრევანია დამონტაჟებული. ეს სამუშაოები სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში შესრულდა.

პრემიერმა აღდგენილი გზა მოინახულა, რომელიც 2014 წელს სტიქიის შედეგად დაზიანდა. ამ ეტაპზე სტიქიით დაზიანებულ ტერიტორიაზე აგებულია 600-მეტრიანი ნაპირსამაგრი. მოეწყო პარკი, რომელიც შესაბამისი ინვენტარით აღიჭურვა .

ამ სოფელში გუშინ თემების მუნიციპალიტეტის მიერ სახალხო დღესასწაული „შემოქმედობა“ გაიმართა.

პრემიერი ჩაი „გურიელს“ აძლევს უპირატესობას

ალიონი. მე ჩაი „გურიელი“ მაქვს კაბინეტში და მას ვსვამ“ –განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ქ. ოზურგეთში, „გეოპლანტის“ ახალი საწარმოს გახსნის შემდეგ, ჩაი „გურიელის“ სხვადასხვა ნაწარმის დეგუსტაციისას.

– ეს ჩვენი პროდუქციის საუკეთესო რეკლამაა -უთხრა პრემიერს „გეოპლანტის“ გენერალურმა დირექტორმა, გურიის ყოფილმა გუბერნატორმა მიხეილ ჭკუასელმა.

„მადლობა ჩემი საქმიანობის დაფასებისთვის“

ალიონი. „ალეგრობაზე“ „საპატიო ოზურგეთელის“ წოდება საქართველოს დამსახურებულ ბიბლიოთეკარს ზინა სალუქვაძეს მიენიჭა.

დაჯილდოების ცერემონიალის შემდეგ სცენიდან ჩამოსულმა გაზეთ „ალიონთან“ აღფრთოვანება ვერ დამალა.

– მე თქვენი გაზეთის თანადროული ვარ. წარსულიდან დანახული სამყარო სულ სხვაა. ვიცი გაგიხარდათ. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ქ. ოზურგეთის მერს ბეგი სიორიძეს, კომისიის წევრებს ჩემი საქმიანობის დაფასებისთვის,– რომელმაც ხნულში ვთესე მარცვლები.

„ალეგრობა“- ოზურგეთობა 2015
„გურულები გამორჩეულად ნიჭიერი ქართველები არიან“

ვა. ეს წოდება წელს მიენიჭათ: დამსახურებულ ბიბლიოთეკარ **ზინაიდა სალუქვაძეს,** ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელს **ჯემალ ჭკუასელს,** არქიტექტორ **გულღია სალუქვაძეს,** საქართველოს სახალხო არტისტს **გაბრიელ მდინარაძეს,** აკადემიკოს **ვლადიმერ ცანავას.**

დაჯილდოების შემდეგ, პრემიერი სცენიდან ჩავიდა და მოსახლეობას გაესაუბრა. ოზურგეთის თეატრის მსახიობებმა მას ტრადიციულად ნოდარ დუმბაძის გმირები წარმოუდგინეს.

უნდა აღინიშნოს, რომ ქ. ოზურგეთის მერიის კულტურის და სხვა სამსახურებმა საინტერესოდ გადაწყვიტეს „ალეგრობის“ თემატიკა. ხის და მინის დეკორები, ღია ცის ქვეშ ვიტრაჟები, „რეტრო“-წარსულის გაცოცხლება, თინათინ ჟღენტის ფერწერული გამოფენა, ტურიზმის და კულინარიის კუთხე. ანიმატორები, ოზურგეთის თოჯინების თეატრის სპექტაკლი, სპორტული სცენები მნახველთა ყურადღებას იმსახურებდა. ქ. ოზურგეთის კულტურის ცენტრის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის აღსაზრდელებმა თეატრის წინ ფლეშ-მობი წარმოადგინეს.

ოზურგეთელი მევენეხეების მიერ წარმოდგენილ ვაზის ენდემური ჯიშების ღვინოებთან ერთად გამოფენილი იყო ცნობილი კომპანიების „ასკანელი ძმები“და „კახური ტრადიციული მეღვინეობა“ნაწარმი ღვინის და კონიაკის სხვადასხვა ნიმუშები. ასკანელ ძმებ გოჩა და ზურა ჩხაიძეებთან ერთად „ალეგრობის“ სტუმრები იყვნენ უცხოელი ბიზნესმენები, ქვემო ქართლის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის გუბერნატორები, რამდენიმე მუნიციპალიტეტის პირველი პირი და სხვა სტუმრები.

ამ დღეს მცირე ინციდენტიც ახლდა. „ალეგრობის“ სახალხო დღესასწაულის წინ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრებმა მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსზე ბანერი წარწერით გადმოკიდეს „მატყუარა ხელისუფლება“.

აღნიშნული ქმედების ჩადენისათვის ოზურგეთის შს სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრები დავით მჟავანაძე, ილია მალაზონია, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია "თავისუფალი ზონის" წევრი ბესო ქათამაძე. ისინი მოგვიანებით გაათავისუფლეს.

მცირე ინციდენტი იუსტიციის სახლის წინაც მოხდა. როგორც ქ. ოზურგეთში, იაკობ შემოქმედელის ქუჩაზე მცხოვრებმა ჟუჟუნა ქარცივაძემ განაცხადა, მან ახალგაზრდა ნაციონალების მიერ ბანერის გამოფენის გამო უარყოფითი პოზიცია ხმამაღლა გამოხატა, რის გამოც მას იქვე მყოფმა ახალგაზრდების ჯგუფმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა.

ქარცივაძის თქმით, ეს ახალგაზრდები დაბა ნასაკირალის მცხოვრებლები იყვნენ. მას პოლიციისთვის არ მიუმართავს.

ბიუჯეტი

ცვლილებები და დამატებები ქალაქ ოზურგეთის ბიუჯეტში

„ალიონი“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 სექტემბრის სხდომაზე ცვლილებები და დამატებები შეიტანეს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2015 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში.

ბიუჯეტი სხვა შემოსავლების ნაწილში გაიზარდა 110 000 ლარით – მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისათვის. ამ თანხებს მიმართავენ პრიორიტეტების – კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯების დასაფინანსებლად, კერძოდ:

გარე განათების – ხარჯები შემცირდა 4700 ლარით და გაიზარდა არაფინანსური აქტივების ზრდა 4700 ლარით. აღნიშნული ითვალისწინებს მრიცხველის შეძენას და ხარჯი ემატება საკუთრებაში არსებულ გარე განათების ქსელს.

13 000 ლარით გაეზარდა სუბსიდია ა(ა)იპ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის რაგბის განვითარების ცენტრს დარჩენილი თვეების შრომის ანაზღაურების გასაცემად, 90 000 ლარით – ა(ა)იპ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „მერცხალს“.

მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად 2000 ლარით გაეზარდა სუბსიდია ა(ა)იპ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურისა და მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრს.

5 ათასი ლარით გაიზარდა შეჭირვებულ მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურების პროგრამა.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ განკარგულება №1881 თანახმად, ცვლილება შევიდა პრიორიტეტში – ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია, პროგრამულ ჭრილში შემცირდა 114 387 ლარით, კერძოდ:

საგზაო ინფრასტრუქტურა – 63 520 ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა);

ბინათმშენებლობა – 10 000 ლარით (სხვა ხარჯების მუხლი);

კეთილმოწყობის სამუშაოები – 40 867 ლარით (არაფინანსური აქტივების ზრდა).

აღნიშნული ცვლილება გამოწვეულია გამოყოფილი თანხებისა და გაფორმებული ხელშეკრულებების შედეგად წარმოშობილი ეკონომიით.

სამი ა(ა)იპ-ი ერთ ორგანიზაციად გაერთიანდება

„ალიონი“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 18 სექტემბრის სხდომაზე დეპუტატებმა მხარი დაუჭირეს ა(ა)იპ -ებში – „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრში“, „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სასპორტო სკოლაში“ და „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჩოგბურთის სკოლაში“ რეორგანიზაციის დაწყების შესახებ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემას.

ქალაქის მერიას მიაჩნია, რომ ერთგვაროვან სფეროში (ხელოვნება, კულტურა, სპორტი და ა. შ) მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული რამდენიმე ორგანიზაციის (ა(ა)იპ-ის არსებობას უმჯობესია ამ ორგანიზაციების გაერთიანების (შერწყმის) ხარჯზე არსებობდეს ერთი ძლიერი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს მართვის ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას, ძლიერი გუნდის შექმნას.

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერია არ აკეთებს გათვლას თანამშრომელთა შემცირების ხარჯზე ეკონომიის მიღების თვალსაზრისით. რეორგანიზაციის მიზანი არის არსებული ფინანსური რესურსით მეტი ეფექტის მიღება თანამშრომელთა შრომითი ნაყოფიერების ზრდის ხარჯზე. ასევე, რეორგანიზაციის პროცესში მოხდება სამივე ორგანიზაციაში არსებული იდენტური თანამდებობის (მაგ. ბუღალტერი, საქმის მწარმოებელი, სამნეო ნაწილის უფროსი) პოზიციის გაუქმება, რის შედეგადაც გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსის სავარაუდო რაოდენობა (საბიუჯეტო წლის დასრულებამდე დარჩენილ სამ თვეში) შეადგენს 8745 ლარს. თუმცა ეს არ იქნება მიღებული ეკონომია, ვინაიდან აღნიშნული ფინანსური რესურსი შესაძლებელია გადანაწილდეს ახალ ორგანიზაციაში სხვადასხვა მიმართულებით.

რეკომენდაციები ჩაის ინსტიტუტის აგრარული უნივერსიტეტიდან გამოყოფაზე და მის შემდგომ ფუნქციონირებაზე

„ალიონი“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის დასკვნა ჩაის, სუბტროპიკულ კულტურათა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხები შესწავლის შედეგების მიხედვით და შეიმუშავა შესაბამისი რეკომენდაციები.

საკრებულო აღნიშნავს, რომ ქ. ოზურგეთის ტერიტორიაზე – ანასეულში ათეული წლის განმავლობაში წარმატებით ფუნქციონირებდა მსოფლიოში ცნობილი ჩაის, სუბტროპიკული კულტურების და ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც დადებით გავლენას ახდენდა სუბტროპიკული მემცენარეობის განვითარებაზე ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით.

ინსტიტუტში მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები და სპეციალისტები, მათ შორის პირველი აკადემიკოსი ქალი ქსენია ბახტაძე, რომლის მიერ გამოყვანილი ქართული სელექციური ჩაის ჯიშების ფონზე შეიქმნა ჩაის კულტურის უნიკალური გენოფონდი.

ამჟამად ეს ინსტიტუტი განადგურების პირასაა, მაგრამ იმედისმომცემია, რომ სოფლის მეურნეობის, მათ შორის ჩაის დარგის რეაბილიტაცია პრიორიტეტულ მიმართულებად არის გამოცხადებული.

საკრებულოს მიაჩნია, რომ სუბტროპიკული მემცენარეობის დარგის საფუძვლიანი და სრული რეაბილიტაციისათვის აუცილებელია სამეცნიერო კვლევების აღდგენა. ამ მიზნით საკრებულოს მიერ რეკ-ომენდებულია სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილოს ინსტიტუტის გამოყოფის საკითხი აგრარული უნივერსიტეტისაგან მისი დაქვემდებარებით სოფლის მეურნეობის სამინისტროსთვის.

საკრებულო დადებითა მიიჩნევს მეცნიერთა მიერ რეკომენდებულ სა-კითხს ანასეულში სამეცნიერო-სასწავლო ცენტრისა და ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების საჩვენებელი ბაზის შექმნის შესახებ, ინსტიტუტისათვის მსოფლიოში ცნობილი მრავალწლიანი საცდელი ნაკვეთების, ჩაის ქართული სელექციური ჯიშებისა და ფორმების გენოფონდის, ჯიშ „კიმინისა“ და „კოლხიდას“ საცდელი ნაკვეთების დაბრუნებას, რომელიც ჯერ კიდევ შენარჩუნებულია და შესაძლებელია მათი აღდგება-რეაბილიტაცია.

დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელის ნანული ორაგვე-ლიძის ხანგრძლივ გამოსვლას რეპლიკა შეაგება მასთან მუდმივად დაპირისპირებულმა დეპუტატმა გოჩა ძიმისტარიშვილმა, რომელმაც ჯერ გამომსვლელისგან რეგლამენტის დაცვა ითხოვა, შემდეგ კი საკრებულოს ხელმძღვანელობის საყურადღებოდ დასძინა: ეს კოჭის გაგორებაა ქალბატონი ნანულის მიმართ, რათა ლოიალური იყოს თქვენს მიმართო(?!).

თხინვალსა და ვაკიჯვარში „ლიბერთი ბანკის“ ფილიალები გაძარცვეს

ალიონი. 14 სექტემბერს, ღამით, ჯერ-ჯერობით დაუდგენელმა პირებმა სოფელ თხინვალისა და ვაკიჯვარის „ლიბერთი ბანკის“ ფილიალები გაძარცვეს.

როგორც თხინვალის ტერიტორიალური ორგანოს რწმუნებულმა ომარ დოლიძემ გვითხრა, სავარაუდოდ წაღებულია 10 000 ლარზე მეტი საპენსიო თანხა. ხოლო ვაკიჯრის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის როლანდ ხუნდაძის თქმით, სოფ. ვაკიჯვრის „ლიბერთი ბანკის“ წარმომადგენლობიდან მძარცველებმა ცარიელი სეიფი გაიტანეს.

„ალიონი“ცხელი ხაზის საშუალებით „ლიბერთი ბანკის“ სათაო ოფისს დაუკავშირდა, სადაც ოპერატორმა ანი ჩაჩანიძემ გვითხრა, რომ პრესსამსახური შეხვედრაზე იყო და შემდგომ დავკავშირებოდით, თუმცა ტელეფონის ნომრის მოცემაზე უარი განაცხადა:

–არ გვაქვს უფლება. პრესსამსახურის ნომერს ვერ მოგცემთ(?!).

ოზურგეთის „ლიბერთი ბანკის“ მმართველის ავთანდილ სვანიძე გაზეთ „ალიონთან“ აცხადებს, რომ მან მხოლოდ ის იცის, მოხდარი ფაქტის შესახებ, რომ დაიკითხნენ „ლიბერთი ბანკის“ თხინვალისა და ვაკიჯვრის ფილიალების თანამშრომლები და მიმდინარეობს გამოძიება.

„მითები და რეალობა ევროინტეგრაციის თაობაზე“

ალიონი. ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში **East-West Management Institute** -ის და ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ორგანიზებით, გაიმართა სემინარი: „მითები და რეალობა ევროინტეგრაციის თაობაზე“.

სემინარის თემები იყო: ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმება, ევროკავშირში უვიზო მიმოსვლის პერსპექტივები და წესები. ევროკავშირთან ეკონომიკური ურთიერთობები, თავისუფალი რეჟიმის შესაძლებლობები რეგიონებისათვის, რეფორმები სოფლის მეურნეობის სფეროში და სურსათის უვნებლობის საკითხები.

სემინარს უძღვებოდნენ ევროინტეგრაციის თემაზე მომუშავე წამყვანი ექსპერტები, საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელები;

თემატური პრეზენტაციები გამართა ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის, საგარეო საქმეთა სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოოპერატივების განვითარების სააგენტოსა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო და სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა.

აუდიტის დასკვნებში შესაძლებელია გარიგებისა და კორუფციის ნიშნები იკვეთებოდეს

ალიონი. შპს „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სავაჭრო ცენტრი“ (ყოფილი აგრარული ბაზარი) ქალაქის საკრებულოს დეპუტატთა კამათის საგანი რჩება.

მართალია, ხმათა უმრავლესობით, ქალაქ ოზურგეთის მერს თანხმობა მიეცა შპს ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სავაჭრო ცენტრის“ ლიკვიდაციის განხორციელებაზე, მაგრამ ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისთვის“ ლიდერი ლევან მგელაძე საეჭვოდ მიიჩნევს აუდიტის დასკვნებს და ამბობს, რომ თვალშისაცემად დაბალ, არარეალურ ციფრებთან გვაქვს საქმე. რეალურად კი ამ საქმიდან ბიუჯეტში გაცილებით დიდი თანხა შევიდოდა.

სხდომის დამთავრებისთანავე გამართულ ბრიფინგზე ლევან მგელაძემ ჟურნალისტებს წარუდგინა ორი აუდიტის დასკვნა, სადაც პირველი ერთი და იგივე ობიექტის ერთ კვადრატულ მეტრ ფართს 42 ლარად აფასებს, მეორე კი – 300-ზე მეტ ლარად.

„აქ, ჩემი აზრით, შესაძლებელია იკვეთებოდეს გარიგებისა და კორუფციის ნიშნები, – განაცხადა მგელაძემ.

ბრიფინგზე იგი ასევე შეეხო 15 სექტემბერს გამართულ „ალეგრობას“:

„საერთოდ, სახალხო დღესასწაულები უქმე დღეებში იმართება. ეს კი, უფრო, ალბათ, „ნაციონალებისა“ და ხელისუფლების ერთობლივი პიარი გახლდათ. „ალეგრობა“ არა, „ბეგლარობა“ იყო. ცოტა უცნაურად არ გეჩვენებათ, რომ საკრებულოს ოთხი დეპუტატი რატომღაც საერთოდ არ მიგვიწვიეს ამ ღონისძიებაზე? წინადადებით შემოვდივარ, ამიერიდან ყოველ 15 სექტემბერს „ალეგრობა“ კი არა, „ბეგლარობა“ დავგეგმოთ და დავამტკიცოთ,“ – თქვა ლევან მგელაძემ.

პრობლემა, კორპუსის ეზოს დატბორვაა

ალიონი. გასულ პარასკევს, ქალაქის მერი, ბეგლარ სიორიძე ვიცე-მერთან, ალეკო ბურჭულაძესთან, საკრებულოს თავმჯდომარესთან, გელა კობალაძესთან და მაჟორიტარ დეპუტატ ლავრენტი ბიგვავასთან ერთად ნიკოლაძის ქუჩის 54 - ში მცხოვრებ მოსახლეობას შეხვდა.

ადგილობრივების ძირითადი პრობლემა უამინდობის დროს კორპუსის ეზოს დატბორვაში მდგომარეობს. როგორც ისინი აღნიშნავენ, წყალი შენობის სარდაფშიც დგება და ამის გამო საფრთხის ქვეშ კორპუსის საძირკველიც დგება.

ქალაქის მერი მოსახლეობის პრობლემას საფუძვლიანად გაეცნო.

„არ ვაპირებ, ისეთი რამ დაგპირდეთ, რომლის შესრულებასაც ვერ შევძლებ. ამიტომ გეტყვით, რომ ვინაიდან წელს თქვენი პრობლემის მოსაგვარებლად საკმარისი თანხა მუნიციპალიტეტს არ მოეპოვება, მომავალი წლის ბიუჯეტში ამ საკითხს აუცილებლად გავითვალისწინებთ და 2016 წლის პირველ კვარტალში თქვენი პრობლემა საბოლოოდ გადაიჭრება.” - აღნიშნა მოსახლეობასთან საუბრისას ბეგლარ სიორიძემ.

ხსენებული პრობლემის მოგვარებისთვის კორპუსის ორივე მხარეს სანიაღვრე არხების გაჭრა, ასფალტის დაგება და შენობაზე წყალშემკრები მილების დაყენებაა საჭირო.

ქალაქის მერმა შესაბამისი პროექტისა და ხარჯთაღრიცხვის დროულად მომზადება შესაბამის სამსახურებს უკვე დაავალა.

მერაბ ბერძენიშვილმა ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრ–სურათების გალერეას შოთა რუსთაველის ბრინჯაოს ქანდაკება გადასცა

ალიონი. ალიონი. 15 სექტემბერს, ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრ-სურათების გალერეაში გურიის მხატვრების საშემოდგომო გამოფენა გაიხსნა.

გამოფენაზე გურიის მხატვრების ნამუშევრებთან ერთად მერაბ ბერძენიშვილის ბრინჯაოს ქანდაკება არის წარმოდგენილი. იგი მერაბ ბერძენიშვილმა გალერეას უსასყიდლოდ გადასცა.

ოზურგეთის სახვითი ხელოვნების ცენტრ-სურათების გალერეის დირექტორის, ავთანდილ თავართქილაძის ინფორმაციით, ამ დღეებში გალერეაში მერაბ ბერძენიშვილის გამოფენა გაიმართება (ბანერების სახით იქნება ქანდაკებები წარმოდგენილი). ასევე იგეგმება გალერეისთვის მერაბ ბერძენიშვილის სახელის მინიჭება.

დასუფთავების აქცია ოზურგეთში

ალიონი. დასუფთავების აქცია - "დავასუფთაოთ საქართველო, რომელიც ტრადიციულად ყოველი წლის სექტემბერში ტარდება. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში გამართული დასუფთავების აქციის მონაწილეებმა გურიის რეგიონში სკვერებისა და პარკის მიმდებარე ტერიტორიები პოლიეთილენის ბოთლების, პარკებისა და სხვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გაწმინდეს. აქციაში მონაწილეობა გურიის გუბერნატორის ხელმძღვანელობით, სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლებმა, ქალაქ ოზურგეთის მერიის, სამივე მუნიციპალიტეტის გამგეობებისა და ა(ა)იპ-ების წარმომადგენლებმა მიიღეს.

საქართველოში აღნიშნული კამპანიის ჩატარებას ორგანიზებას უწევს პროექტი „დავასუფთაოთ საქართველოს“ განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი („საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო“, საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ და „ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლება და ნარჩენების მართვა“).

2015 წელს 18-19-20 სექტემბერს კამპანია ჩატარდა დევიზით: ჩვენი ქვეყანა... ჩვენი პლანეტა... ჩვენი პასუხისმგებლობა...

იუბილარი

კუკური ბერძენიშვილი



ჩვენი რაიონის მკვიდრს, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ცნობილ პედაგოგს, ქორეოგრაფ კუკური ბერძენიშვილს ოთხმოცი წელი შეუსრულდა.

ბატონმა კუკურიმ ფრიად საინტერესო ცხოვრების გზა განვლო. იგი სიჭაბუკიდან დღემდე ერთგულად ემსახურება საყვარელ საქმეს, ქართულ ქორეოგრაფიას.

დამთავრებული აქვს ქუთაისის სასაოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი. ცეკვავდა სუხიშვილებში, ქუთაისისა და რესპუბლიკის სხვა ანსამბლებში. წლების მანძილზე იღვწის გურიასა და აჭარაში და თავის შემოქმედებას დაუზარებლად გადასცემს მომავალ თაობებს, თავის მოწაფეებს, რომლებიც მრავლად იყვნენ და არიან. თითოეულ მათგანს განსაკუთრებულად უყვარს თავიანთი მასწავლებელი. იგი აღმზრდელია შესანიშნავ მოცეკვავეთა პლეადისა, რომლებმაც თავიანთი დახვეწილი ცეკვების მანერითა და შესრულებით მსოფლიო განაცვიფრეს. თვითონაც მეტად მოხდენილად და უბადლოდ ცეკვავს. არის მრავალმხრივი ნიჭის მფლობელი. არაჩვეულებრივად უკრავს დოლსა და ჩონგურზე. საჭიროების შემთხვევაში შეუძლია კარგი ლექსების წერაც.

მალე საზოგადოება, ხალხი ღირსეულ პატივს მიაგებს ამაგდარის ღვაწლს. ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში მისი საიუბილეო საზეიმო საღამო შედგება.

მე, როგორც მისმა ყოფილმა მოსწავლემ, ჩემი პოეტური წარმოსახვით წარმოვიდგინე როგორი იქნება ეს ბედნიერი დრე. ვულოცავ ჩემს მასწავლებელს ამ დიდი სიხარულს, ვუსურვებ წარმატებებს და ვუძღვნი საკუთარ ლექსს:

აქ თაობები შეყრილან,
გკოცნიან, გეგებებიან,
მთელი დარბაზი ტაშს
გიკრავს,
ყველანი ფეხზე დგებიან.

შენ შენი საქმით დაფასდი,
სულმოუთქმენლად გელიან,
გამკობენ ლამაზ სიტყვებით,
შენთვის სიმღერებს მღერიან.

ამბებს გარდასულ დღეთა წინ
ტკბილ ზღაპრებივით ყვებიან.
მოიგონებენ შენს წარსულს,
ცრემლებად დაიღვრებიან.

რა სწრაფად გადის თურმე დრო,
ყრმობის წუთები ქრებიან,
გვიახლოვდება სიბერე,
იმისი მონა ხდებია.

შენს ყოფნას აზრი რომ ააქვს,
თავად გრძნობ, სხვებიც ხვდებიან,
კვლავაც გიხმობენ სცენაზე
გარშემო ისმის ხმებია.

შენგან იმასვე ითხოვენ,
რაც ძლიერ მოგვნატრებია.
არ გაურბიხარ მათ ნებას.
გადიხარ, განა კრთებია.

ჩვენს თვალწინ აგდებ
ქარიშხალს,
თითქოს იძვრიან მთებია,
ქართული ცეკვის დიდოსტატს
ვერას გაკლებენ წლებია.

ამგვარი ხელოვანები
უკვალოდ როდი რჩებიან.
შენისთანები ცოცხლობენ,
არც არასოდეს კვდებიან.

ნანა ჯანხოთელი.

ანეკდოტები

საავადმყოფოში ფეხდაზიანებული ავადმყოფი მიიყვანეს. ხანგრძლივი ოპერაციის შემდეგ, ფეხის გადარჩენა შეძლეს, პაციენტისა კი — ვერა.

XXX

სომეხი ტერტერასთან (მღვდელთან) მივიდა:
— რა გინდა, შვილო ჩემო?
— შევცოდე, მამაო.
— რა ჩაიდინე ასეთი?
— ებრაელი მოვატყუე.
— ეგ ცოდვა კი არა, სასწაულია!

XXX

— ა, შეხედე, რა მაგარი სმენის აპარატი ვიყიდე ბაზრობაზე, თანაც ძალიან იაფად.
— რა მიეცი?
— რვას აკლია 5 წუთი.

XXX

ორნი საუბრობენ:
— რა დაამთავრე, სიმონ?
— სამედიცინო. შენ?
— ვეტერინარული.
— რა კარგია, ფული აღარ დაგვეხარჯება, როცა ავად გავხვდებით, უფასოდ ვუმკურნალებთ ერთმანეთს!

XXX

— რა გირჩევნია, ლუკაია, კაი ღვინო თუ კაი ქალი?
— გააჩნია რა ხნისაა ღვინო და რა ხნისაა ქალი.

XXX

ექიმი ეკითხება შემოსულ პაციენტს:
— რა გაწუხებთ?
— არაფერი.
— აბა, რაღას მოდიოდი ჩემთან?
— მაინტერესებს, რატომ არ მაწუხებს არაფერი.

XXX

გურიაში გადაწყვიტეს, რომ შევარდნაძეს ძეგლი დაუდგან. აიტანეს ძეგლი მაღლობზე და დაუგორდათ. კვლავ აიტანეს და ისევ დაუგორდათ.
— ეგდოს აქანე. აი იმისთანა იყო, თავისით ავა.

XXX

— დედა, რატომ აქვს მამას თავზე ასე ცოტა თმა?
— ბევრი კითხვისაგან.
— შენ რატომ გაქვს ასე ბევრი თმა?
— ჭამე და ბევრს ნუ ლაპარაკობ.

XXX

მიხო დგას ქალაქში, შუა ქუჩაზე და ყვირის:
— ვაიმე, მიჭერენ!
— ვინ გიჭერს, კაცო, აქ ხომ არავინაა?! — გაოცდა გამვლელი.
— „ბათინქები“ მიჭერენ, კაცო!.
— ამიტომაც არ მაცვია, ჩანთაში მიდევს.

XXX

მორჩა, აქედან უნდა წავიდე. სოფელში დავბრუნდები და მამაჩემის საქმიანობას გავაგრძელებ.
— რავა, ლოთობას იწყებ?!

XXX

— აი, გავალ პენსიაზე და მეორე წიგნსაც დავასრულებ.
— წერთ?
— არა, ვკითხულობ.

როლანდ თავაძე.

მილოცვები

ლელა დვალიშვილი, იამზე კიღურაძე, ნონა ღლონტი, გიული ტვილდიანი ულოცავენ როზა გოგუაძეს, კოტე და რუსუდან შარაშენიძეებს შვილთაშვილისა და შვილიშვილის, პატარა ვაჟკაცის ანდრია ლომაძის ამ ქვეყნად მოვლენას. უსურვებენ წელთა სიმრავლეს და ღვთის მფარველობას.

XXX

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირი დიდი სიხარულითა დასიყვარულით უერთდება ქალბატონი როზა გოგუაძისა და მისი შესანიშნავი ოჯახის ბედნიერებას პატარა ანდრია ლომაძის დაბადების გამო. ასეთ ბიჭებზეა ნათქვამი — „კიდევაც დაიზრდებიანო“. ანდრია აუცილებლად ის კაცი იქნება, ვინაც მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს მშობლიური ქვეყნის ქვეყნის სამომავლო ისტორიის შექმნაში.

XXX

გაზეთ „ალიონის რედაქცია ულოცავს ქალბატონ როზა გოგუაძესა და ბატონ კონსტანტინე შარაშენიძეს შვილთაშვილისა და შვილიშვილის ანდრია ლომაძის დაბადებას! ჯანმრთელობა, ლაღი ბავშვობა და ბედნიერ ქვეყანაში ბედნიერი ცხოვრება პატარა ანდრიას!

იყიდება

ქალაქ ოზურგეთის ცენტრში, თეატრთან და სადგურთან ახლოს ოთხოთახიანი წაბლის სახლი თავისი ეზოთი. ეზო ხეხილით, 661 კვ მ. ბუნებრივი აირი მიყვანილია სახლამდე.
ფასი შეთანხმე-ბით. ტელ. 595 18 79 57.

***

იყიდება 400-კაციანი საბანკეტო დარბაზი ოზურგეთის ცენტრში.
ტელ. 593 95 61 83.

100 მეცნიერი, რომელმაც შეცვალა მსოფლიო

ჯონ ბალჩინის წიგნიდან „ქვანტური ნახტომი“

ედვინ ჰაბლი (1889-1953).

ედვინ ჰაბლიმ 1923 წელს დაამტკიცა, რომ სამყარო ჩვენს გალაქტიკაზე – რძიანი გზა (ირმის ნახტომი) – უფრო დიდია. 1925 წელს შექმნა გალაქტიკების კლასიფიკაციის სქემა. 1929 წელს ნათლად აჩვენა, რომ სამყარო იზრდება. 1936 წელს გამოაქვეყნა წლის ყველაზე პოპულარული სამეცნიერო წიგნი „ნისლეულის სამეფო“. 1990 წელს უზარმაზარ ორბიტალურ ტელესკოპს ჰაბლის სახელი დაარქვეს.

გალაქტიკებსა და დედამიწას შორის მანძილის დადგენის შედეგად ჰაბლმა აღმოაჩინა, რომ ისინი ცვალებადია.

ჰაბლმა ფოკუსირება მოახდინა ანდრომედას ნისლეულზე და ჰაბლის ტექნიკის გამოყენებით დაასკვნა, რომ ეს ნისლეული დედამიწისაგან დაშორებულია 900 000 სინათლის წლით და „რძიანი გზის“ გარეთ იმყოფება. უფრო მეტიც, მან გაარკვია, რომ სპირალური ფორმის ნისლეული იყო სხვა გალაქტიკა, რომელიც ჩვენსას ჰგავდა. ასეთი გალაქტიკები კოსმოსურ სივრცეში შესაძლებელია მილიონობით ყოფილიყვნენ, რომლებიც მილიარდობით ვარსკვლავს შეიცავდნენ. ამ გასაოცარმა შედეგებმა მთლიანად შეცვალა ჩვენი წარმოდგენა სამყაროზე და ჰაბლს დიდი წარმატება მოუტანა.

1929 წელს ჰაბლმა გამოთვალა გალაქტიკების მანძილი და ჩამოაყალიბა „ჰაბლის კონსტანტა“. მან გამოიანგარიშა სისწრაფე, რომლითაც გალაქტიკების მოძრაობა გაამრავლა მის კონსტანტაზე. მიუხედავად მის კონსტანტის გადაჭარბებისა, ფორმულა სწორი იყო. შემდგომმა კორექციებმა ასტრონომებს შესაძლებლობა მისცა, შეეფ-ასებინათ სამყაროს რადიუსი მაქსიმუმ – 18 მილიარდი სინათლის წლით და ასაკი – 10-დან 20 მილიარდ წლამდე. ჰაბლმა განაგრძო გალაქტიკების კლასიფიკაციის სისტემის შექმნა, რომელიც ახლაც ფართოდ გამოიყენება.

სერ ჯეიმს ჩედვიკი (1891-1974). 1932 წელს აღმოაჩინა ნეიტრონი. ჩედვიკის მიერ ნეიტრონის აღმოჩენამ გზა გაუხსნა ატომური ბომბის შექმნას.

ჩედვიკის მიერ ნეიტრონების აღმოჩენა გადამწყვეტი მოვლენა იყო ბირთვული ფიზიკის განვითარებაში. ჰელიუმის პროტონებისაგან განსხვავებით, რომლებიც დამუხტულნი არიან და შესაბამისად მძიმე ატომთა ბირთვში არსებული ელექტრონული ძალით გამოიდევნებიან. ნეიტრონებს შეუძლიათ მძიმე ელემენტთა ბირთვებში შეღწევა და მათი გაყოფა. ამ ფაქტორმა შესაძლებელი გახადა ურანი 235-ის გახლეჩა და მეცნიერებს ატომური ბომბის შექმნაში შეუწყო ხელი. ამ საკაცობრიო აღმოჩენისათვის ჩედვიკმა 1935 წელს ნობელის პრემია დაიმსახურა.

ფრედერიკ ბანტინგი (1891-1941). 1923 წელს, ჩარლზ ბესტთან ერთად, ბანტინგმა შექმნა ინსულინი.

1920 წლამდე დიაბეტი მკვლელი დაავადება იყო.

მათ მოახდინეს დიდი გარღვევა მედიცინაში და შექმნეს პრეპარატი, რომელსაც მილიონობით სიცოცხლე უნდა გადაერჩინა. მავე, 1923 წელს მათ მიიღეს ნობელის პრემია ფიზიოლოგიაში. ბანტინი 1941 წელს დაიღუპა ავიაკატასტროფაში, როდესაც ნიუფანდლენდიდან ბრიტანეთში მიფრინავდა.

ამ საკაცობრიო აღმოჩენამდე შიდსისა და ებოლის საუკუნეში, ნუ დაგვავიწყდება, რომ დიაბეტი სასიკვდილო დაავადება იყო.

მოამზადა

გურამ ცერცვაძემ

სკანვორდი



№36-ში გამოქვეყნებული სკანვორდის პასუხები:

სურათზე – თამაზ ჭილაძე; ნიანგი – რომბიფერი; მდინარე კახეთში – ალაზანი; კაცისა და ხარის ბრძოლა – კორიდა; სასუქი – ფოსფატწინდა; ქალის სახელი – ანი; კავშირი – და; ზამთრის სპორტის სახეობა – ბობსლეი; ბილიარდის ჯოხი – კია; მალამო – სალბუნი; სელის ქსოვილი – ნარმა; ტაბლეტი – აბი; ფრთამშვენიერი და ხმასაძაგელი – ფარშავანგი; ძეხვეული – სოსისი; ავსტრიული საფეხბურთო კლუბი – ვაკერი; ერთი წლის ცხვარი – აზმანი; ფრინველის კიდური – ფრთა; რძის ნაწარმი – დო; ლარის ავადმყოფობა – დევალვაცია; ქალის წამოსასხამი – მოლი; მგალობელი ფრინველი – ტოროლა; სააგენტო – იფრინდა; ორთა საუბარი – დიალოგი; სალექსო ფორმა – რონდო; სამშენებლო მასალა – ბლოკი; ნაცია - ერი; ანბანის პირველი ასო – ა; სხვის ბუდეში კვერცხისმდებელი – გუგული; საიდუმლო ციფრი – კოდი; იაპონური ფეხსაცმელი – გეტა; წიგნის ჩოხა – ყდა; სარეველა – გრაკლა; მდინარე რუსეთში – დონი; დედამიშვილი – და; გვრიტის ბარტყი – გულიო; ტყის მცველი – ეგერი; დიდი კენჭი – ქვა; სპარსული ფაფა – არისა; გაზაფხულის ყვავილი – ია.

ნასაკირალის შეტაკება

(გაგრძელება დასაწყისი №35)



ამას გარდა ოზურგეთიდან ჩვენს საშუალად გამოსულ ასეულს სახლებიდან ესვროდნენ: ამიტომ გზატკეცილის პირად მდებარე ყველა სახლი კაზაკებმა დასწვეს, როცა სახლებიდან ცეცხლის ალი-ავარდა, მე პეკარსკის თანდასწრებით შენიშვნა მივეცი, მაგრამ ოფიცერმა, რომელიც მე მოვნახე, ის იყო პოდესაული კოსტელიანოვი, მიპასუხა, რომ ეს ხდებოდა სამხედრო მოსაზრებით, დანარჩენი ოფიცრები - პოდესაული-პაპენჩენკო და ხორუნჟი, მალაევი შორს იმყოფებოდნენ ჩემგან. ამ შეტაკებაში ჩვენ დავკარგეთ მოკლულნი და დაჭრილნი. ჭრილობისაგან გარდაიცვალა 6 კაზაკი, დაიჭრა 12, პოლიციის სტაჟნიკები მოკლულიიქნა 2, უგზოუკვლოდ დაიკარგა 5, აგრეთვეუგზო-უკვლოდ დაიკარგა სამაზრო სამართველოს თარჯიმანი ანთაძე . დაიკარგა მოკლულთა და უგზო-უკვლოდდაკარგულთა ბერდანკები სულ 6 ცალი, ყველა ესენი ხელთ იგდეს აჯანყებულებმა. დაიკარგა ცხენები სტრაჟნიკების 4, გაიქცა 10, მოკლულ იქნა კაზაკის ცხენი, მოკლული იქნა 3 ცხენი და დაიკარგა 2 მოდარაჯის ცხენი, დაიკარგა 3, ამას გარდა ზარალი კიდევ არის, რაც ცნობაში მოგვყავს. ჯერჯერობითი კცნობოლია ზარალი, რაც შეადგენს 5106 მ. 50კაპ.

ოზურგეთში ჩამოსვლისას დამხვდა შემდეგი ცნობები: 1. კაზაკებზე (7 კაცი) თავდასხმისა, რომლებიც დრეზინით მიდიოდნენ ნატანებიდან სუფსაში, რომელთაგან მოკლულია 5;

2. იქვე 2 სტრაჟნიკზე (ინგუში) თავდასხმა, რომლებიც რკინის გზას მოჰყვებოდნენ ქუთაისიდან, ერთს მიაყენეს სამი ჭრილობა, მეორეს — სხეულის ნაწილები დაუმტვრიეს;

3.სუფსის სადარაჯოზე თავდასხმა; წაღებულია 5 ვინტოვკ;

4. თავდასხმა ლანჩხუთის საბოქაულოს სამართველოზე .სადაც განადგურებულია საქმეები და ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთები და წაღებულია 7 ვინტოვკა.

ამნაირად 15-22 ოქტომბრაბდე აჯანყებულებმა ხელთ იგდეს საპოლიციო სტრაჟის 27 ვინტოვკა .სულ მთელი ამ წლის განმავლობაში 48 ვინტოვკა.

თუ რა მდგომარეობაში არიან სოფლის სამართველოები ცნობები არ არის, ვიცით მხოლოდ ზემოხსენებული თქვენს აღმატებულებას, დავძენ, რომ, როგორც შეკრებილი ცნობებიდან სჩანს, ნასაკირალის ქედზე მოწყობილ თავდასხმაში მონაწილეობას ღებულობდნენ ყველა საზოგადოებები, მაგრამ უმთავრესად დვაბზუსა და ბახვის საზოგადოებები. სულ თავდასხმა -ბრძოლაში მონაწილეობდა ,(იმ პირთაჩვენებით, რომლებიც ტყედ იყვნენ ჩავარდნილი) 4 ათას კაცზე მეტი. მოწინავე მებრძოლებად და უფროსებად იყვნენ დეზერტირები, რომელთა სიასაც აქვე გირდგენთ. ამასთანავე დავსძენ, რომ სამაზრო პოლიციის მოქმედება მომხდარი ამბების გამო სრულიად შეწყვეტილია და ამჟამად მხოლოდ სამაზრო სამართველოში გრძელდება საკანცელარიო მუშაობა .საპოლიციო სტრაჟად დაშლილია. ერთი ნაწილი გაიქცა კიდეც. მათი თავის მოყრა მე არ ძალმიძს. სტრაჟის ოფიცერი გაწვეულია ქუთაისში. სტრაჟისადმი გამოცემული ბრძანების თანახმად. აგრეთვე გაწვეულია სამაზრო სამართველოს ბდივანიც, ოზურგეთის მაზრის უფროსი სტატხკი სოვეტნიკი ლაზარენკო“ (ო.ი.მ.ფ.საქმე 333))

ალიხანოვის ხელმეორედ მოწვევის მცდელობა.

ნასაკირალის ბრძოლის ექომ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს მშომელთა მოსახლეობაში. განსაკუთრებით კი ზუგდიდის მაზრის გლეხობაში. “ნურავინ იფიქრებს — აცხადებდნენ ისინი - ჩვენ ფეხის ამყოლნი ვიყოთ, მაგრამ გურიის ამბებს სულითა და გულით თანაუგრძნობთ, რაც გურულებმა თქვეს, ის ჩვენი მეგრელების კი არა მთელი საქართველოს და რუსეთის გლეხობის გაჭირვებაცაა და სულ ერთია გურულებს, რომ არ დაეწყოთ, ჩვენ დავიწყებდითო

გურიის გლეხთა მღელვარება მასიყრად მოედო რაჭა-ლეჩხუმის მაზრასაც სადაც რაჭველი გლეხების ბრძოლის საქმეს ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებთან უშუალოდ გურული რაზმელები ხელმძღვანელობდნენ“ სოფელ ჭყვიშში (რაჭის მაზრა - აცნობებდა შექმნილი მდგომარეობის შესახებ აღნიშნული მაზრის უფროსი ქუთაისის გუბერნატორს- აჯავყებულ გლეხობას სათავეში უდგას 16 კაცისაგან შემდგარი კარგად შეიარაღებული გურულთა რაზმი, ამ რაზმის მეთაურობით მაზრის მთელი მოსახლეობა ფეხზე დადგა მთავრობის ძალებთან საბრძოლოლველად“ მაზრის უფროსი სხვაგან შენიშნავდა“ გურიის აჯანყებამდე 5-10 კაცისაგან შემდგარი კაზაკთა რაზმი თავზარს სცემდა სოფლის მთელ საზოგადოებას. 10 კიცის შემწეობით შემეძლო დამეტყვევებინა და ცხენებივით გამერეკა რამდენიმე ასეული გლეხი, მაგრამ ახლა მდგომარეობა სულ სხვაგვარად არის შეცვლილი“(ი.მელქაძე“ რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი“ თბ. 1960წ, გვ.402).

აჯანყებულმა გურიის გლეხობამ დახმარების ხელი გაუწოდა იმხანად ჩამოყალიბებულ „ნოვოროსოსკის რესპუბლიკას“, სადაც აქტიურ როლს თვით გურულები ასრულებდნენ.“ ნოვოროსისკშიაღნიშნულია ნოვოროსისკის მუშათა დეპუტატების საბჭოს მიმართვაში გურიის კომიტეტისადმიმოსალოდნელია მთავრობასთან შეტაკება, რისთვისაც შეიარაღებული ძალებია საჭირო, ვაგზავნით რა თქვენთან ამხანაგს თხოვნით, იმედი გვაქვს, რომ გამოატანთ მას ყუმბარებს რამდენიც საჭირო“..(რსდმპ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტი გვ. .415) გურიის კომიტეტმა დააკმაყოფილა ნოვოროსისკელი რევოლუციონერების თხოვნა გაუგზავნა მათ დიდძალი საბრძოლო აღჭურვილობა მთავრობის ძალებთან საბრძოლველად.

გურიის გლეხთა მოძრაობას მხურვალედ გამოეხმაურა რევოლუციურად განწყობილი ჯარის ნაწილები გაზეთ „სხივის“ 1905 წლის 6 ნოემბრის სტატიაში ვკითხულობთ:“ გვაინტერესებს გურულების გმირული ბრძოლა თავისულებისათვის.აღტაცებას გამოვთქვამთ და თანაგრძნობას ვუცხადებთ გურულებს. ჩვენ ერთ-ერთი პატარა კომანდის სალ-დათები ამ წერილთან ერთად ვგზავნით ჩვენი ღარიბი ჯიბიდან მცირე თანხას, ამით ჩვენ იმდენად ნივთიერი დახმარება კი არ გვსურს აღმოუჩინოთ მათ რამდენადაც სოლიდარობა გვინდა გამოუცხადოთ გმირულ გურულებს და საზოგადოდ თავის--უფლებისათვის მებრძოლებს“ (გაზეთი „სხივი“ №6. 1905წ.)

გურიის აჯვყებამ დიდად შეაშფოთა კავკასიის მთავარმართებელი ვორონცოვ-დაშკოვი, რომელმაც აჯანყებული მაზრის დასამშიდებლად საგანგებო ზომების მიღების გადაწყვეტილება მიიჩნია მიზანშეწონილად. კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის ხელმძღვანელისადმი ვორონცოვ-დაშკოვის მიერ გაგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: —„რადგან არეულობამ გურიაში,სადაც არ ემორჩილება ხალხი მთავრობის მოხელეებს, შეიარაღებულნი თავს ესხმიან ჯარებს, ანგრევენ რკინიგზას ,და მთავრობის დაწესებულებებს, გიბრძანებთ შეადგინოთ განსაკუთრებული საექსპედიციო-რიონის რაზმი ზემოთ ხსენებულ აჯანყებული მცხოვრებლების დასამორჩილებლად და დასაწყნარებლად.“(გაზეთი „ ივერია“ 194,1 ნოემბერი,1905წ.)

ამრიგად აჯანყებული გურიის ასაოხრებლადდა ასაკლებად მეფის ნაცვალის ბრძანებით კვლავ შედგა დამსჯელი რაზმი ცნობილი ჯალათის ალიხანოვ-ავარიელის მეთაურობით.“გადაწყვეტილია — მწერდა შექმნილი ვითარების შესახებ გაზეთი „ცნობის ფურცელი“-დაიწყოს ნამდვილი ბრძოლა გურიის წინააღმდეგ.მობილიზებულია 8000 სალდათი, 5 ზარბაზანი, 6 ტყვიის მტორცხნი, ოზურგეთში ყველაფერი უნდა განადგურდეს“ (გაზ.“ცნობის ფურცელი“ 2936 ოქტომბერი 1905წ.)ასეთ ვითარებაში გურია უდიდესი საფრთხის წინაშე აღმოჩნდა. ამ საფრთხისა და განსაცდელის წინაშე ხმა აღიმაღლა მთელმა ქართველმა ხალხმა, პრესამ, მოწინავე საზოგადოებრივმა აზრმა. საქართველოს მუშები და ყველა მშრომელები,როგორც ერთი კაცი მოითხოვდნენ გურიაში დამსჯელი ჯარების გაგზავნის შეჩერებას. ამ მხარდაჭერის გამოხატულებას წარმოადგენს შემდეგი ფაქტორები-რევოლუციური მუშების მიერ სადგურ ძირულაში დაკავებული იქნა რვა სამხედრო მატარებელი, რომელთაც ჯარები მიჰყავდათ აჯანყებული გურულების დასამორჩილებლად. რკინიგზის სადგურ გომში დაკავებული იქნა ალიხანოვ -ავარსკის დამსჯელი რაზმისაგან შემდგარი საგანგებო მატარებელი.

„21 ოქტომბერს — წერდა ქუთაისის ჟანდართა განყოფოლების უფროსი გამყრელიძე კავკასიის პოლიციის უფროსს გენერალმაიორ შირინკინს-სამხედრო მატარებელი 24 რონოდით ქუთაისიდან გავიდა გურიაში აჯანყების ჩასაქრობად.მატარებელს მიჰყავდა 670 კაზაკი და ოფიცერი.ქუთაისიდან სამი ვერსის დაშორებით მატარებელი დაიმსხვრა, რაც გამოწვეული იყო რელსების აყრით“, (გაზ.„ცნობის ფურცელი“ 2936 ოქტომბერი,1905წ.)

ოზურგეთის მაზრაში სამხედრო წესების გამოცხადება და იქ დამსჯელი რაზმის გაგზავნასთან დაკავშირებით ბოლშევიკების ხელმძღვანელობით თითქმის ყველა ფაბრიკაში შედგა მასობრივი მიტინგები,სადაც რევოლუციური მუშები მოითხოვდნენ დამსჯელი რაზმის გამოყვანას.

მანანა ლომაძე
ოზურგეთის ისტორიული მუზეუმის ფონდების მთავარი მცველი

(გაგრძელება იქნება)

ხსოვნა

ჩემო ლამრო!



ჩემთვის გაუსაძლისი ათი წელი გავიდა იმ დღიდან, რაც ამ სამყაროდან გაემგზავრე. 2005 წლის 21 სექტემბერს, ღვთიშობლობა დღეს გახვედი სახლიდან, ეკლესიაში სანთლები დაანთე, ყველა ჩვენგანი ღვთიშობელს შეავედრე, სახლში კი მაშინდელი 03-ით მოგასვენეს. ღვთიშობლობა დღეს აღესრულე, 27 სექტემბერს, ჯვართამაღლებას ჩაგიხუტა ფულში ნაღობილევის მადლიანმა მიწამ. წმინდა ბარბარეს სახელობის ეკლესიაც ახლოს აგიშენეს ღვთისნიერმა ადამიანებმა.

კარგად არიან ჩვენი შვილები, შვილიშვილები, შენთვის უცნობი სამი შვილთაშვილი. იძინე, ლამრო, მშვიდად, ადრე თუ გვიან (მინდა, რომ ადრე) შენთან ვიქნები.

შენი **გურამი.**

ნათელა პილაძე

მოულოდნელი და გაუსაძლისი ტკივილით დაიწყო სასწავლო წელი. მონატრებისა და შეხვედრის სიხარული ცრემლის ნიაღვარმა წალეკა... თითქოს ყველაფერმა აზრი და ფერი დაკარგა, რადგან 14 სექტემბრის საზეიმო დილას შენი ღიმილი, სითბო და სილაღე აკლდა.

შენი სიკვდილი მეხის გავარდნას ჰგავდა. ყველასთვის მოულოდნელად შეწყდა შენი ბობოქარი სიცოცხლე, რომელიც სკოლას ისე გადაეჯაჭვა, რომ ვერც კი წარმოგვიდგენია სასკოლო ცხოვრება შენს გარეშე. შენც ჩვეული ენთუზიაზმით ეგებებოდი სასწავლო წლის დადგომას. ბევრი ოცნება დაგრჩა აუხდენელი და ყველა მათგანი სკოლას და შენს XII კლასს უკავშირდებოდა...

დასანანია, რომ შენს ნაოცნებარ ცეკვას ახდენა არ უწერია... ცეკვა შესრულდება, მაგრამ უშენოდ და ტკივილით...

სკოლა შენი ოჯახი იყო, სადაც 45 წელი ერთგულად და გამორჩეული პასუხისმგებლობით ემსახურებოდი მომავალი თაობების აღზრდას...

ჩვენ, შენი კოლეგები, ყველგან დაგეძებთ. თითქოს იმედი გვაქვს, რომ კვლავ გავიგონებთ შენს ხალისიან და გადამდებ კისკისს, კვლავ მოგვტაცებს თვალს შენი ნარნარი სხეული და მოხდენილი კაბის შარიშური, კვლავ მოვისმენთ შენს მჭექარე ხმასა და ძარღვიან სიტყვას.

გვიჭირს უშენობა, ძალიან გვიჭირს, ჩვენო ლამაზო, გამორჩეულო, ენერგიულო, ერთგულო მეგობარო. შენც იცი, რომ ჩვენ ვერასოდეს შევეგუებით უშენობას, მხოლოდ ის გვანუგეშებს, რომ შენი ლამაზი სული ცათა სასუფეველში დაიმკვიდრებს ბინას... გულდაწყვეტილები ხშირად ვიტყვით: „ჩვენ ლამაზი მეგობარი გვყავდა..“

სოფელ ოზურგეთის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი; ოზურგეთის განათლების მუშაკთა პროფკავშირი.

სანადირო იარაღის მარკირება და ნომერაცია, კლასიფიკაცია და შეფასება

სანადირო იარაღი იმდენად ბევრი და მრავალფეროვანია, რომ კომპანიებს მოდელების უმეტესობისათვის შემოღებული აქვთ აღნიშვნა–ასოებით და ციფრებით (მაგ. -27). როგორც წესი ასეთი მარკირება საშუალო და იაფი კატეგორიის მოდელებს აქვთ. მაღალი კლასისა და კატეგორიის იარაღს ანიჭებენ საკუთარ სახელს(მაგ. „როიალი"). ამ ხერხით კომპანიები გამოყოფენ თავის საუკეთესო მოდელებს, ხოლო მონადირეები ადვილად ახდენენ იარაღის იდენტიფიცირებას.

თუმცაღა სახელები, მარკირება და აღნიშვნები ძალიან ბევრია, ისევე როგორც თავად კომპანიები. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიები ყველანაირად ცდილობენ სახელები არ დაემთხვეს, არც თუ იშვიათად დამთხვევა მაინც ხდება. ამიტომ თოფის სახელი სრულყოფილი იმ შემთხვევაშია, როცა ის მწარმოებელი კომპანიის სახელთან ერთად იწერება ან იკითხება(მაგ. rowning B-25).

საიარაღო კომპანიებში მოქმედებს ნომერაციის მკაცრი სისტემები ყოველი ეგზემპლიარისათვის.

ერთ შემთხვევაში, ეს მარტივი და წლიდან წლამდე უწყვეტი თანმიმდევრობაა, მაგრამ ასეთი ნომერაცია მხოლოდ წარმოების მცირე მასშტაბის შემთხვევაშია მიზანშეწონილი.

მეორე შემთხვევაში, თანმიმდევრობა გარკვეული პერიოდის განმავლობაში ხდება. განსაზღვრული რაოდენობის ეგზემპლიარების წარმოების შემდეგ ხდება ახალი თანმიმდევრობის დაწყება და შემოაქვთ ნომრების სხვა ჯგუფი.

მესამე შემთხვევში, ყოველი მოდელისათვის გათვალისწინებულია საკუთარი ნომერაცია პირველი ეგზემპლიარიდან დაწყებული.

მეოთხე შემთხვევაში, ნომერაცია ახლიდან იწყება ყოველი წლის დასაწყისში. ამ შემთხვევაში წლის აღმნიშვნელი ციფრები შედის ნომრის შემადგენლობაში(მაგ. -ს თოფების ნომრები 6 ციფრიანია, რომლის პირველი 2 ციფრი წელს აღნიშნავს, შემდეგ კი 0001, 0002 და ა.შ.)

ბევრი კომპანიის ნომერაცია ზემოთ ჩამოთვლილი 4 ვარიანტის ნაზავს წარმოადგენს.

ზოგიერთი კომპანია პერიოდულად აქვეყნებს ცხრილებს საკუთარი იარაღის ნომერაციით, სხვები თვლიან, რომ ეს კონფიდენციალური ინფორმაციაა.

მართლაც ნომერაცია, რომელიც არ ემთხვევა საფირმო უნიფიკაციას და გამოშვების პერიოდს მყისვე მუთითებს ნაწარმის სიყალბეზე.

ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად გერმანიაში, მიღებულია გამოშვების წლის უშუალოდ თოფზე აღნიშვნა. როგორც წესი, ასეთი ადგილია ლულების ბლოკის ბალიშები. ზოგჯერ გამოშვების წელი იგივეა რაც ბოლო გამოცდის წელი.

ზოგჯერ ბელგიურ თოფებს გამოშვების წელი დაშიფრული ჰქონდათ ასოებით. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია შრიფტის თავისებურებანი, რამეთუ, ალფავიტის ასოები არც თუ ისე ბევრია, ხოლო უნიფიცირებული სისტემა ფირმისათვის ბევრი ათწლეულის განმავლობაშია საჭირო.

გამოშვების თარიღი ძალიან მნიშვნელოვანი მაჩვენებელია. ის ერთგვარი საფირმო დაცვაა გაყალბებისაგან. რამეთუ არც თუ შვიათად ლეგენდარული მოდელები გარკვეული წყვეტით გამოდიოდა. გარდა ამისა გამოშვების თარიღით ხდება თოფის წარმომავლობის, კლასისა და ღირებულების დადგენა.

ბევრი კომპანია ანიჭებენ იარაღს ნომერს მისი წარმოების დასაწყისში. დამზადების პერიოდი გაუთვალისწინებელ ობიექტურ მიზეზთა გამო შეიძლება გაიწელოს რამდენიმე წლით. ამ შემთხვევაში ეგზემპლიარი გასაყიდად გამოდის უფრო გვიანდელ თოფებთან ერთად, რომელთა გაკეთებასაც ასე დიდი დრო არ დაჭირდა. წარმოების ხანგრძლივობაზე სხვა სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისებიც მოქმედებენ.

მაგალითად, ჰოლანდ-ჰოლანდის ჰორიზონტალური მოდელი **Royal Paradox** ნომრით შეესაბამება 1911 წლის წარმოებულს, ფირმამ კი მისი დამზადება 1916 წელს დაასრულა. შემდგომში ჰოლანდის ხელმძღვანელობამ საარქივო ინფორმაციაზე დაყრდნობით დაადასტურა დამზადების თარიღი 1916 წელი.

სანადირო იარაღის კლასიფიკაცია

სანადირო იარაღის კლასიფიკაცია წარმოების ორი ძირითადი მიმართულებით განისაზღვრება: 1) სერიული ანუ მასიური 2) მცირე რაოდენობის, სახელდობრ ინდივიდუალური ეგზემპლიარები.

საბოლოო ჯამში კლასიფიკაცია შეესაბამება შრომით დანახარჯებსა და მასალების ფასს. ამაზეა დამოკიდებული კონკრეტული ეგზემპლიარის ღირებულება.

ბაზარზე ჭარბობს მასიური იარაღი. ის მრავალფეროვანია და იყოფა რიგ კატეგორიებად:

ა)ხელმისაწვდომი– მარტივი დეკორით, ტექნოლოგიური კონსტრუქციით, სტანდარტული წარმოების საშუალებით დამზადებული, აქვთ მარტივი ტექსტურის კაკლის, წიფლის ან არყის ხის კონდახი და ტიბეირი, მათი დამზადებისას ხელით შრომა მხოლოდ აუცილებლობითაა განპირობებული.

ბ) საშუალო– უფრო ძვირფასი ტექნოლოგიური კონსტრუქციის, მაღალი ხარისხის კაკლის კონდახით და ტიბეირით, დეკორი (გრავირება) საშუალო, მოხატვა მატრიცების, ლაზერის, ელექტროგრაფიის ხერხით წარმოებს და ა.შ., მათი დამზადებისასაც ხელით შრომა მხოლოდ აუცილებლობითაა განპირობებული.

გ) მაღალი– ძვირფასი ტექნოლოგიური კონსტრუქციის, ხელით აწყობილი, რთული ტექსტურის კონდახითა და ტიბეირით, ხელით შრომა მნიშვნელოვნად მეტია, გრავირება ხელით(აქვს გრავიორის წარწერა).

ბაზრის ვიწრო, მაგრამ პრესტიჟულ სექტორს წარმოადგენს ეგზემპლიარები, რომლებიც მცირე რაოდენობით მზადდება, მათ შორის მხოლოდ ერთეულად.

რომ განვასხვაოთ ძვირფასი მოდელები მაღალი კლასის სერიულისაგან, ამისათვის მიზანშეწონილია ვიცოდეთ რას წარმოადგენს ცნება „ძვირფასი". ესაა ეგზემპლიარების მცირე რაოდენობა, გრავიორის მიერ ხელმოწერილი უმაღლესი ხარისხის დეკორი, ხშირად რთული კონსტრუქცია, უმაღლესი ხარისხის ნატიფი ტექსტურის კონდახი და ტიბეირი, პირველ რიგში შესრულების ხარისხი, მეორე რიგში ტექნოლოგიური მითხოვნები. ნაკეთობა აუცილებლად უმაღლესი კლასის ოსტატის მიერ უნდა იყოს დამზადებული.

ასეთი კლასიფიკაცია იარაღის მწარმოებელი პირველი ფირმების შექმნის პერიოდიდან მოდის. დიდ ბრიტანეთში დიდი ხნის წინ მასიური ეგზემპლიარების დიფერენცირებისათვის შემოიღეს აღნიშვნა ასოებით **A,B,C.** ხოლო უმაღლეს კატეგორიას ეწოდებოდა **The Best.** ამ კლასისათვის მიზანშეწონილია ტერმინი „საცალო", თუმცა ეს სახელი მუდმივად მოითხოვს განმარტებებს, რადგან ერთი მხრიდან საცალო იარაღი ერთადერთია ანუ პერსონალური. ამასთან საცალო შეიძლება იყოს ნებისმიერი ნიმუში ტექნოლოგიისა და დანახარჯების მიუხედავად. მაგალითად მასიური წარმოების იარაღი, რომელსაც შემკვეთის სურვილისამებრ განსხვავებული, ძვირფასი კაკლის კონდახი აქვს. მეორე მხრივ ჩვენში ჩამოყალიბებულია მრავალწლოვანი სტერეოტიპი, რომ საცალო იარაღი ეს გაუმჯობესებული სერიული თოფია.

აღნიშვნის ღირსია ის გარემება, რომ მასიური მოდელი შეიძლება ნებისმიერი კატეგორიის იყოს (თუ ამის საშუალებას კონსტრუქცია იძლევა).

საკოლექციო იარაღს უპირველეს ყოვლისა ესთეტიურ მოთხოვნებს უყენებენ. არსებობს საკოლექციო იარაღის 3 კატეგორია 1) უნიკალური, უმაღლესი კლასის 2) სასაჩუქრე და 3) ანტიკვარული.

უნიკალურებში შედის მხოლოდ ერთეული შესრულების თოფები (პირდაპირი მნიშვნელობით), რომლებიც ხელოვნების ნიმუშის სახითაა წარმოდგენილი. ამ ჯგუფის იარაღში განსაკუთრებით კარგად ჩანს ოსტატებისა და გრავიორების ნიჭი ტექნიკურ-მხატვრული კუთხით.

სასაჩუქრე თოფები შეიძლება რამდენიმე ცალად იყოს დამზადებული(შეზღუდული რაოდენობით). მათ დეკორში გამოყენებულია ძვირფასი ლითონები და სხვა მასალები. ასეთი თოფები შესაძლებელია სერიული თოფების ბაზაზე იქნენ დამზადებული.

ანტიკვარულია თოფები, რომლებიც ძველ მოდელებს ან მათ ზუსტ ასლებს („რეპლიკები") წარმოადგენენ.

საკოლექციო იარაღი შეიძლება იყოს შელახული და ზოგჯერ გაფუჭებულიც კი, ოღონდ იმ შემთვხვევაში, როცა ამ ეგზემპლიართან დაკავშირებულია რაიმე ისტორია. მაგალითად ჰემინგუეის ორლულიანი, რომლითაც თავი მოიკლა; ჩრინცი ჩარლზის ნაჭონი თოფი; ნიკოლოზ მეორის თოფი, ბრეჟნევის შტუცერი და ა.შ.

ასევე საკოლექციოა იარაღი, რომელიც უკვე არარსებული კომპანიის(ბრენდი იგულისხმება მაგ ლეპაჟი) და ოსტატის(მაგ. მაცკა) საცალო ეგზემპლიარია.

მდგომარეობის მიუხედავად საკოლექციოა იარაღი, რომელიც წარმოადგენს იშვიათ კონსტრუქციას. მაგალითად XIX საუკუნის 60-80-იან წლებში ბევრი გარდამავალი და ექსპერიმენტული კონსტრუქცია დამზადდა...

ფყვილი(ტყუპი) თოფები

იარაღის განსაკუთრებულ სეგმენტს წარმოადგენს დაწყვილებული თოფები. ეს იარაღი გამოიყენებოდა მტრედებზე სროლისას სპორტული შეჯიბრის დროს. მათ მეორენაირად ტყუპებსაც ეძახიან.

ტყუპები მზადდებოდა და მზადდება უმაღლესი კლასის ოსტატების მიერ. ასეთი ნაკეთობანი არა მარტო გარეგნული მსგავსებით ხასიათდებიან, არამედ პრაქტიკულად ერთნაირია წონითა (10-20 გრამის სიზუსტით) და ბალანსით. ტყუპები ყველა მაჩვენებლით იდენტურნი არიან და მხოლოდ მარკირებით განსხვავდებიან. ერთს აწერია „1" მეორეს კი „2".

მომზადა **გელა ჩავლეიშვილმა**

განვადება

ავტომობილების განვადება 6-დან 36 თვემდე 2%-ში. ნებისმიერი ავტომობილი ამერიკის და იაპონიის აუქციონებიდან, ფელი შეზღუდული არ არის, მოქმედებს შიდა უპროცენტო განვადება 3 თვით + გაცვლა

ტელ: 595 11 10 30 ზურა; 598 47 47 03 დათო

მისამართი: 26 მაისის ქ. №11, მე-2 საჯარო სკოლის გვერდით.

რ

7 დღის ამინდის პროგნოზი

21 სექტემბერი, ორშაბათი	22 სექტემბერი, სამშაბათი	23 სექტემბერი, ოთხშაბათი	24 სექტემბერი, ხუთშაბათი	25 სექტემბერი, პარასკევი	26 სექტემბერი, შაბათი	27 სექტემბერი, კვირა
მზე +17+33	მზე +18+30	მზე, ღრუბელი +16+30	მზე, ღრუბელი +14+22	წვიმა +16+22	მზე, ღრუბელი +15+24	მზე, +18+25